



## სამედიცინო პუნქტის დებულება



## შინაარსი

პრეამბულა. მოქმედი შემოკლებები და განმარტებები .....	3
მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	4
მუხლი 2. სამედიცინო პუნქტის ფუნქციები.....	4
მუხლი 3. სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელი .....	4
მუხლი 4. სამედიცინო პუნქტის პერსონალი .....	4
მუხლი 5. დასკვნითი დებულებები.....	5

**პრეამბულა**

1. წინამდებარე დებულება სამედიცინო პუნქტის ნორმატიული დოკუმენტია;
2. დებულება:
  1. შემუშავებულია ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;
  2. დამტკიცებულია ბნსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;
  3. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
3. დებულებაში ცვლილებები მუშავდება და შედის საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს დებულება;
4. დებულება ვრცელდება ბნსუ-ს შემდეგ დოკუმენტებზე:
  1. სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელის და პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები (არსებობის შემთხვევაში).
5. დებულების აღრიცხული ეგზემპლარები ინახება:
  1. ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ორიგინალი);
  2. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ.ვერსია);
  3. სამედიცინო პუნქტში (ელ.ვერსია).
6. ნორმატიული საფუძველი:
  1. საქართველოს კანონის ჯანდაცვის შესახებ, მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
  2. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
  3. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
  4. ნდ №2-010102 – ბნსუ-ს შინაგანაწესი (ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება);
  5. ნდ №2-020101-01 – „სასწავლო უნივერსიტეტში შიგა ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და მოქმედების უზრუნველყოფის პროცედურა“;
  6. ნდ №2-020101-02 – „სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობაში გამოყენებადი მოქმედი დოკუმენტების და ფორმების კლასიფიკაციისა და იდენტიფიკაციის პროცედურა“;
  7. ნდ №2-020101-03 – „სასწავლო უნივერსიტეტში დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის პროცედურა“.

**ბნსუ-ში მოქმედი შემოკლებები და განმარტებები**

- ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ხს** - ხარისხის სისტემა;
- ECTS** - კრედიტებისა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
- სდ** - საინფორმაციო დოკუმენტი;
- სსა** - საქართველოს საზღვაო ადმინისტრაცია;

**ნორმატიული დოკუმენტი** - დოკუმენტი, რომელიც ადგენს სხვადასხვა საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;

**თანამდებობრივი ინსტრუქცია** - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, ფლებებსა და პასუხისმგებლობას;

**სტრუქტურული ერთეულის დებულება** - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის უზანს ან მიმართულებას, ქვედანაყოფის ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ინსტრუქციას;

**აღრიცხული ეგზემპლარი** - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;

**სტუდენტი** - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

**მაგისტრანტი** - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

**პროფესიული სტუდენტი** - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

**საგანმანათლებლო პროგრამა** - საბაკალავრო, სამაგისტრო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

**უსდ/სდ** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება; **ბნსუ** ან

**სასწავლო უნივერსიტეტი** - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“.



### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ბნსუ-ს სამედიცინო პუნქტი წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბნსუ-ს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, თანამშრომლების და ბნსუ-ში მყოფი პირების პირველად სამედიცინო დახმარება და ბნსუ-ში სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის კონტროლს;
2. სამედიცინო პუნქტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით ჯანდაცვის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ბნსუ-ს შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებით და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის განკარგულებით.

### მუხლი 2. სამედიცინო პუნქტის ფუნქციები

სამედიცინო პუნქტის ფუნქციებში შედის:

- პირველად სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებული კონსულტაციების გაწევა;
- პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარის და ხელსაწყოების მდგომარეობის კონტროლი;
- პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის აუცილებელი მედიკამენტების და მასალების მარაგის შექმნა და პერიოდულად მათი ვარგისიანობის შემოწმება;
- ჯანმრთელობის უეცარი გაუარესებით გამოწვეული პრობლემების გადაჭრა, ბნსუ-ს სტუდენტებისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის, თანამშრომლებისთვის და ბნსუ-ში მყოფი პირებისთვის გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა, საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურთან დაკავშირება;
- ბნსუ-ში სამედიცინო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება და სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის კონტროლი.

### მუხლი 3. სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელი

1. სამედიცინო პუნქტს (შემდგომში - პუნქტი) ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც კონკურსის ან პირდაპირი დაკონტრაქტების წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი. პუნქტის უფროსს უნდა ჰქონდეს სამედიცინო განათლება და ანალოგიური ფუნქციების მქონე სამსახურში მუშაობის/ანალოგიური მოვალეობის შესრულების არანაკლებ 01 წლის გამოცდილება, ბნსუ უფლებამოსილია დააზუსტოს მითითებული მოთხოვნა და/ ან დაადგინოს სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
2. პუნქტის უფროსმა უნდა იცოდეს სამედიცინო პუნქტის ფუნქცია და უზრუნველყოს ამ ფუნქციის შესრულება, უნდა იცოდეს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, სანიტარიის და უსაფრთხოების ნორმები და წესები და უზრუნველყოს კონტროლი მათ შესრულებაზე;
3. პუნქტის უფროსს უფლება აქვს თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
  - შეაფასოს ბნსუ-ში არსებული მდგომარეობა, შეიმუშაოს შესაბამისი ღონისძიებები და წინადადებები;
  - მონაწილეობა მიიღოს იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც ეხება პუნქტის საქმიანობას;
  - მისცეს მითითებები ბნსუ-ს სტუდენტებს, პროფესიულ სტუდენტებს და პერსონალს;
  - გასცეს განკარგულება, მისცეს მითითება და რეკომენდაცია ყველა მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომელს.
4. პუნქტის უფროსი ვალდებულია უზრუნველყოს პუნქტის გამართული მუშაობა და პუნქტის ფუნქციების შესრულება;
5. პუნქტის უფროსი პასუხისმგებელია:
  - სამსახურის მუშაობაზე, შრომითი დისციპლინის დაცვაზე, მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე;
  - გასაწევ მომსახურებასა და ხარისხის სისტემასთან დაკავშირებით ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრაზე.
6. პუნქტის უფროსი:
  - წარმოადგენს სამედიცინო პუნქტს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია სამედიცინო პუნქტზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებაზე;
  - ხელმძღვანელობს მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს;
  - გეგმავს ძირითად სამუშაოებს სამედიცინო პუნქტის ფუნქციების განხორციელებისათვის;
  - ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
  - თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს ყველა საკითხს, რომელიც დაკავშირებულია სამედიცინო პუნქტის ფუნქციასთან;
  - თვალყურს ადევნებს და ზედამხედველობს სამსახურის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ ბნსუ-ს შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
  - აკონტროლებს პუნქტის სამედიცინო საშუალებების ხარჯვას;
  - ამზადებს და წარადგენს ყოველწლიურ ანგარიშს სამედიცინო პუნქტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, აგრეთვე ნებისმიერ დროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის დავალებით;
  - ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს წარუდგენს წინადადებებს სამედიცინო პუნქტის თანამშრომელთა შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების პირობების, წინამდებარე დებულებაში შესატანი ცვლილებების, შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზების, თანამშრომლების წახალისების და სხვ. შესახებ;
  - ადმინისტრაციის ხელმძღვანელ-კანცლერთან შუამდგომლობს იმ ინვენტარის, ხელსაწყოების, სამედიცინო პრეპარატების, მასალების და სხვ. შექმნაზე/გადაცემაზე, რაც აუცილებელია სამედიცინო პუნქტის ფუნქციის შესასრულებლად;
  - ადმინისტრაციის ხელმძღვანელ-კანცლერთან შუამდგომლობს სამედიცინო პუნქტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
  - ამზადებს დასკვნებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
  - ახორციელებს ბნსუ-ს შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით, წინამდებარე დებულებით და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებებით განსაზღვრულ ფუნქციებსა და დავალებებს;
  - ექვემდებარება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს, ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

### მუხლი 4. სამედიცინო პუნქტის პერსონალი

1. სამედიცინო პუნქტის პერსონალს (პუნქტის თანამშრომლებს) კონკურსის ან პირდაპირი დაკონტრაქტების წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი. ბნსუ უფლებამოსილია განსაზღვროს და გამოიყენოს დასაქმების პრეტენდენტთა შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
2. პუნქტის თანამშრომელი ვალდებულია შესრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა აიღოს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. პუნქტის თანამშრომლის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, შრომითი ხელშეკრულებით, ბნსუ-ს შინაგანაწესით, თანამდებობრივი ინსტრუქციით (არსებობის შემთხვევაში), ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერისა და სამედიცინო პუნქტის უფროსის სამსახურებრივი დავალებებით;

3. პუნქტის თანამშრომლები ანგარიშვალდებულნი არიან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის და სამედიცინო პუნქტის უფროსის წინაშე.

**მუხლი 5. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე;
2. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება ბნსუ-ში წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი სამედიცინო პუნქტის დებულება;
3. ბნსუ-ს სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელი და პერსონალი ვალდებულნი არიან გაეცნონ წინამდებარე დებულებას და შეასრულონ მისი მოთხოვნები. ბნსუ-ს ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა;
4. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების და დამატებების ინიციატორი შეიძლება იყოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის და იურიდიული სამსახურები;
5. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით;
6. წინამდებარე დებულების მუხლებს წანამდგრეობული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
7. წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად ცნობა არ ვრცელდება წინამდებარე დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
8. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით და ბნსუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
9. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს სამედიცინო პუნქტის ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.